სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 **იანვარი, 2026 წელი**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/14

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ქეთინო კახაბერიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, **ქეთინო კახაბერიძის** დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-08/513 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №06-01/24 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/13 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №22-20/1, 12.01.2026) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 26 0000023598, 15/01/2026) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ფილოლოგიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ქეთინო კახაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის „ვიქტორ ქორქიას შემოქმედების ძირითადი მხატვრული და შინაარსობრივი თავისებურებები“ **საჯარო დაცვა** დაინიშნოს **2026 წლის 30 იანვარს,** 13:00 საათზე, №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, კორპუსი №1, მე-2 სართული).
2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ფილოლოგიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. მარინე გიორგაძე – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
   2.2. მაია კიკვაძე – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის მდივანი);**
   2.3. მარინე სიორიძე – ბსუ-ს პროფესორი;
   2.4. თინა შიოშვილი – ბსუ-ს პროფესორი;
   2.5. რამაზ ხალვაში – ბსუ-ს პროფესორი;
   2.6. მალხაზ ჩოხარაძე – ბსუ-ს პროფესორი;
   2.7. თეონა ბერიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.8. ხათუნა ბერიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. შორენა მახაჭაძე – ბსუ-ს ემერიტუსი;
2.10. ნაილე მიქელაძე – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი;
2.11. ლელა კუკულაძე – წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.
3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება, საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორ მ. ფაღავას) და საბჭოს მდივანს (პროფესორ მ. კიკვაძეს), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. № 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**